

ဘုရား  
သနပေါ်



E 855

1920

N-1

56

F85g

1920

~~35.1920.15~~

№ 1

899.962.1(05)

2-56



រៀបចំ  
សាខាអង់គ្លេស

ឯកសារ ៣
សាខាអង់គ្លេស
សាខាអង់គ្លេស
សាខាអង់គ្លេស
សាខាអង់គ្លេស

ស្រុកដៃខែឆ្នាំ ៩. នៅពេលបង្ហាញ

ចំណាំ

ស្រុកដៃខែឆ្នាំ „អ៊ូរីហិ“, ទំនាក់ទំនងរាជការ នៅភ្នំពេញ, № 67.  
1920

## మర్కు నువ్వులు:

- ఓ. రూపాలు — „జిల్లాలు జిన్డుయ్యాదా“ . —  
ఓ. కృష్ణారెడ్డా — „సియాల్‌బ్రే“ —  
ఓ. డామోడిక్కారెడ్డా — „సింత భింగల్‌ట్రోటి“ +  
ఐఎస్ — „ల్యూఫ్సిస్“  
ఎఱ. ఓ — నీం — „సినామ్‌డ్రైప్ల్యూ సింబిల్‌శిం“



მწყემსების სადილობა თავიანთ ბინაზე.

## საით მივიღოთვით?!

### I

ყველას სძინავს. თმა-ხუჭუქა გოგიას თავი გამოუყვეთ საბ-ნებიდან და იღიმება: მის თვალწინ, თითქო ხონჩაზე მოერთ-მიოთ, კოხტა სოფელით გამოხატული ისე ცოცხლით, რომ, ის, ბერუანთ სახლის გვერდით მის მწვენე აივნიან სახლსაც ნათლიად ხედავს. წინ არხი ჩაუდის და შიგ დიდ გემს, ვით დე-დას შეილები, პატარა გემები მისდევენ. ერთბაშად შედგა გოგია. ყიყაჩობიანი მინდორი გამოჩნდა. იქ ტანადი კაკლის ხე დგას და, მის წვერზე ქერქის კოშკებში გაღმომსხდარ კაკლებს. გულნატკენად შეჰყურებს. გოგიამ ჯოხი მოიმარჯვეა-გადმოხტენ კაკლები. ერთი მათგანი ყიყაჩის დაეცა და იქვე უსულოდ გაა-გორა. მიცვალებულმა ყვავილმა მიიპყრო გოგიას ყურადღება და გადაწილებულ მინდორს გადახედა. მახლობლად პეპელე-ბი დღეობას იხდიდენ. ერთი მათგანი გინგალექვებით იჯდა მედიდურ ყაყაჩოზე და ორ წითელ დროშას აფრიკალებდა. გო-გია ფრჩხილებზე შედგა, დედოფლისაკენ გაპარულ ხელს ორი თითი გამოეტიშა. დიდის მმბით მოჰყავს შშვენიერი ტყვე გო-გიას. ნაჭარბმა სიხარულმა, ისე გამოაფხინდა გოგია, რომ მიუხედავათ სიცივისა, საბნები გადახედადა და, პერანგ-ამარა წა-მოჯდარი, თვეებს ითვლიდა: თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი. თებერვალი, მარტი, მაისი... თებერვალი, მაისი...

### II

გორაზე გაშენებული ქალიაქი ამომავალ მზის სხივებში ბა-ნაობდა. ქედმაღალ საყდართა გუმბათებს, თითქო ქვეყანას პირ-ჯვარს სწერდენ, ოქროს ჯვრები იემართათ. განაპიროს ლინ-ჯათ იდგა სამსართულიანი წითელი სასწავლებელი. გაშლილ მინდორზე ახალგაზრდა მხედარს ლურჯა ცხენი დაეყენებია და

წითელ შენობას აკვირდებოდა: „კუთხეებში მერვე, მეშვიდე, შემ-  
 დეგ მექქვსე კლასი“—ო, გულში ამბობდა მგზავრი და უკანასენე-  
 ლიდან მაღალ კლასებში გადადიოდა. მერვე კლასში დაჯდა  
 გოგია. გამოცდები ისე მოახლოვდა, რომ სტუდენტის ქუდი  
 მოეციდა და სადაცაა გოგიას თავზე ჩამოეხურება. ინ, მოკუპიმა  
 სტუდენტი. სურნელებით დაისველა თმა, და ისე კოხტად გაძ-  
 ყო თრად. ეშვე მოსული ჰაეროვან კოცნას თავზე იდებ-  
 და. გოგიამ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი ამოირჩია და,  
 თუმცა ჯერ სწავლა არ დაეწყო, თავი დაუმძიმდა, დარბაის-  
 ლობა და სიდინჯე აღებეჭდა სახეზე. სადაც არ წავიდა. ყველ-  
 გან ლია იყო კარები, სთხოვდენ: „მობრძანდით ბ. გომრვი“—ო!  
 მაღლა აჭრილმა ოცნებამ სინამდვილე გამოაღვიძა. გოგია მე-  
 ქექსე კლასში უნდა დამჯდარიყო.

— მექქვსე, მეშვიდე, მერვე.. როგორ გაგრძელდა თხერი. უცროსი განკუთვილება, უფროსი, პირველი კლასი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, ჩამოთვალი გოგიამ და განვლილ  
 დრომ გონებაში ისე სწრაფად გაურბინა, რომ გასისვლელი  
 დროუ შეამოკლა. „მექქვსე ალარ ჩათვლება, მეშვიდე და მერ-  
 ვე. მაისის დამლევს მეშვიდეში ვიქნები... მაისი და მერვე“...

### III

„მატანა, გათრგა!

გუშინ საღმოთი სხდომა გვქონდა იმის შესახებ, თუ  
 ჩრდილოეთში ერან გაგვეგზავნა, ერთხმად შენ ავირჩიეს. გვწამს  
 იმედებს გაგვიმართლებ. ჩვენ აქ, შენ იქ აღმართე მახვილი.  
 ყველინი, როგორც ერთი, შენთანვართ“.

გოგიამ მოწოდება სიამოვნებით გადაიკითხა. ბინდმოსი-  
 ლი მომავალი განათლდა. შორეულ ქვეყანას გზა საჩქაროდ შეუ-  
 ერთდა. ალიძრა მისწრაფების უინით დამთვრალი სული. თით-  
 ქო მთაზე შემდგარიყო, გაცისკროვნებულ სახით გამყურებდა  
 სავალ გზის. გადაშლილ შუბლზე მხოლოდ ერთი ნაოქი მოს-  
 ჩანდა და ისიც, ვიღაცას მოლოდინში ნელ-ნელა ისსნებოდა.  
 უკვე კარებში იღვა ტურფა ყვავილივით ტან-აყრილი ისული,



რომლის დანახვაზე შწუხარება წარისოცა შუბლიდან და გრძელ-  
გი საყვაირელობან ერთად ღია ფანჯრის ზღუდეზე ჩამოსხდენ.  
„მხოლოდ რჩეული დაყნოსავენ სულიერ თბლობის დროს  
ბედნიერების კვევილს“ თ, შეწურჩულებდა ქალწულს გიორგა  
და ხელს და ნებართვას შეთხოვდა, რათა სულიერ საუნჯეო  
სალაროში რამოდენიმე წრფელი კუცნა შეეტანა. მორჩილებით  
ხელზე გადმოწოლილი ასული ფარულ შწუხარებით კვედრიდა:  
„მტოვებ გოგი!“ გოგის სულში ზარები გუგუნებდა და პასუ-  
ნის ნაცვლად გულში იკრიცდა.

— ჩემო ლამაზო! დამჭრა შენმა უენო საყვედურმა, მაგრამ  
ამართულ დროშის დახრა მიმძიმს. დამილოცე გზა, დამილოცე  
წმიდა დროშა, რომ უგვირგვინო გვირგვინით დაგიმრუნდე.  
ჩენ მხოლოდ კუნძული გვაშორებს, რომლის ირიცე ნაპირ-  
ზე სიყვარულის სანთელი ანთია. გაივლიან წელი და ერთ  
ლრუბლიან დღეს უცბათ განათლდება, მიიღებ წერილს: მო-  
დივარ, შენი გოგი. იმ წითელ დროშებს, რომელიც შენ და-  
მილოცე, ვფიცავარ სიყვარულს, ამაყად ვატარებ. ბარემ აღ-  
მართოთ წითელი დროშა. მელოდებიან.

#### IV

სამგზავრო გემის ბაქინზე სუფრაა გაშლილი. შორეულ  
ქვეყნიდან მომავალ გემს, ვარსკევლოვან ცის ქვეშ საიდუმლო  
სიმღერით მუურავს, დამსხერეული ტალღები შეწონექოლებულ  
მარგალიტებად გარშემო იდგება უდროვოთ თმა შევერტხლილი  
გიორგი სუფრის თავში ზის. მას მეგობრები აცილებენ, რომ-  
ლებთან ერთად იმრძოდა უცხო ქვეყანაში. მათ შორის გემის  
უფროსიცაა.

მეგობრებო! აღტაცებით მიმართა გიორგიმ. ვაივლიან წელ-  
ნი და ერთ ლრუბლიან დღეს უცბათ განათლდება, ისე დავიწ-  
ყებ ჩემს სიტყვას. ის კუნძული, სადაც თქვენთან ერთად ქა-  
რიშხალი გვემუქრებოდა სულიერ სამეაულის შემოცლას, ის  
კუნძული, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი ამართული მახვი-  
ლით ერთმანეთს შეცეკროდენ, ის კუნძული, რომლის მოპირ-



დაპირე ნაპირებზე სიყვარულის ორი ხანთელი იწყოდა, — მაღლებულების განვლილი იქნება და, იქმომდე განტალკევებულნი, ერთმანეთის შეანათებენ... თქვენ დამშორდებით, ეწვევით ნაცნობ ბრძოლის ველს, და ჩემგან მოკითხვას გადასცემთ. ოკეანე, რომელიც ზეციდან ჩამოფრენილ შევ არწივათ მეჩვენება. გადაუშლია ფრთხები და ტორტენებს, — მარწიმს არ იღელდება. არწივს უყვარს არწივები და სჯერა, რომ მისებრ გიური ეინით აიყრებიან იქრიშის მისატანილ... მაშე გაგიმარჯოსთ თქვენ, თქვენს ვშვილობით დაბრუნებას და იმ ორ ხანთელს, რომელთავან ერთი თქვენის, მეორე თამაღას ეშნით გიდდება... გემის უფროსო, ალავერდი თქვენთან ვარ, დღეს თქვენი ძლიერი ფრთხები მიგვაქროლებს და მსურს ტვირთი შეგიმსუბურებათ იმ ფხიანი სასმისით... ბ. უფროსო, მოგვხედეთ!

— ბოდიშ ეიხდი, თამაღავ თქვენი უცნაური არწივი ფრთხებს ისწორებს, უნდა გაგეცალოთ, სოქვა გემის უფროსმა და მღელავარე აკენებ მგზავრთა ყურადღებაც მიიბყრო. ქარიშხლის ნიშნები მოსჩანდა. გემის ფოლად გვერდზე ატლასად გაშელილი ტალღები იხეოდა. ცაზე ღრუბელნი ისეთის სიჩქარათ გარბოდენ, თითქო წარლენას გაურბიანო. ზეირთებით ატაცებულ გემზე იდგა გიორგი და მასთან ერთად ეშურებოდა.

## V

ჩამავალი მხის სხივები მოფენოდა ღია ფანჯარას. ჭალა გიორგის შვილი ამოდგომოდა, თუ წლის ჭაბუკი, ტ შეწითლებულ ცის თალით ერთობოდენ. იმედს და სასოწარკვეთილებას მოეცვა მათი თვალები.

— მამა, ეკითხებოდა ვახტანგი, ნუ თუ შენც ისე გატებობს ჩამავალი მხე, ისე გხიბლავს და ვიტაცებს, როგოც მე? შემოპარულმა სიბნელემ სიყვარულის მისტიური ზეშარი ჩამოშალა. ვაკეირდები და შეუცნობელ წარწერების ამოცნობას ვცდილობ, თავდავიწყებით დავდივარ ფანტასტიურ ქვეყნაში და რწმენა მშეს ისევ ეიხილავ, ერთი წუთით არ მტოვებს. მშეო, მშეო! არ გაცივდება შენგან გამობარი გული. შენ სატრაფოს



ჰგავხარ, მოვებიბლავ და დაგვემალები. ეგ ხერხია: გსურტი მართვა  
დამ შენკენ ვილტვოდეთ. და ჩვენც შენი ნატეხები, შენი  
ცეცხლით ანთებულნი, მოვქრიფართ და, ჩვენს შორის გამშულ  
საუკუნეთა ჯაჭვს, ვწვავთ დაგიახლოვდებით... მამა!... უეცრად  
მიმართა ვახტანგმა, მაგრამ ვიორგის სახეზე სიცოცხლის ნიშან-  
წყალი აღარ ეტუობოდა.

— წამიყვანე... წამიყვანე, შვილო... გადაფიორებული მო-  
ხუცი საუკუნო განსასვენებლად ემზადებოდა. უკანასკნელი  
სიტყვა იყო:

„სით მიუილტვით?!”

ბ. დათვაშვალა.

## ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე მ - ს ი ხ მ ა რ შ ი.

(Debie a la facies en signe d'amitié)

გაზაფხულით — ეძმი ბუნების სიქალწულის.

თეორიად ამარტული სასახლე სცურავს ყვავილთა და მცენარეთა ტალღებში. მისი სამოსი შემცობილია ფოთლოვან ჩუქურთმებით...

სასახლის შესავალს სდარაჯობს გააფიქტებული არი ლომის ქანდაკება.

ირგვლივ რკალავს ხავერდის ფონზე ახალი ბულონ ყვავილით აღსავსე ბაღშია, რომლის შეაგულში შადრევანი გედის პირით აფრქვევს წყალს ცეკარ ნაშით ანისლებულს.

ტროპიკული მცენარეებით აღსავსე ხეივნები, ილუმინი გრძნობის მომართვით რას არ განგაცდევინებენ. ალაგ-ალაგ შეხედებით მოჩირჩხლულ ყვავილებისაგან ასურათებულ სახეებს წარწერებით.

აგერ თალარი, რომელსაც ნეტარებით მოუსაბაშს ყვავილების ქათიბი. ზოგი ყვავილი კი, რომელიც გაბეჭდიერდენ სასახლის ერთ ფანჯარისთან აფურჩქნით, ეშნით თორთოლებულნი, ყელ-გალერებით შეკისკისებენ დედოფლის საფანეს, რომ თავისი ნაზი სურნელის მოფრქვევით მოსტაცონ ყურადღება მეუფებას.

აისის უამია.

ლურჯ უაზე მოვარე, ვერცხლის სხივის მოოვარე. მკრთალდება, შისი სხივით ქსოვილი იბანდება და თან-და-თან შეუჩერებლად ეფარება ცისფერი რიდე.

აისის გამარჯვებას ზეიმობენ სირინოზი, იადონი, შოშია, ბულბული, შაშეი და სხვა მგალობელი, რომელთა საზეიმო ჰიმნები, სანეტარო გრძნობებით აღსავსე, პფენენ არე-მარეს

\* \* \*

### ლია კარი

გადაცენია მნელ კედლებს კერი,

შემორევია წვიმა, ნამქერი

და შძაფრი ქარი.

საბრალო ხატი!

ის აღარა სჩანს, ოჭ, აღარა სჩანს!

გაყინულ კერას უელის განი-განს,

საფენი სწატი.

ჩამქრალა ცეცხლი.

რა მოგავონებს აქ წარსულ მაისს?

მაგრამ შენ აქაც ახერხებ მაინც

პირჯერის დაწერის.

ახერხებ ზრდილი

სული წაართვა თვითეულ საგანს

ქარიშმლიანი წარსულისაგან

გადარჩენილი.

ლიმილი როცა

სწუხს—იგი მიინც არ შეიძლო.

სულო, ილოცე,

სიცოცხლისათვის ილოცე, სულო!

N.N



სიცოცხლისადმი კაბუკურ მისწრაფების სურვილს. მგალობლების პელთა მგოსნური გრძნობით აღსაესე სიმღერები უტებობენ შძინარე დედოფალს დილის ფშვიალს.

მიგრამ დახეთ, მოწვეტილი სიო მოსრიალდა ბაღჩის და მოპპარა მას მთვარის შუქისებური კოცნა, ბაღჩა იმღელვარდა და თავის მღელვარება შესთავაზა სასახლეში ცელქურად მძინარე დედოფალს. მისი ბაგრი ამეტყველდენ; აეღერდა სახის მომხიბლავი ჩანგი დედოფლის.

დედოფალი ამ უაშს სიზმრეთის სამყაროში ჰაეროვნად დანაერობდა; მის ირგვლივ დასრიალებდა ასულთა გუნდი და დედოფლის სურვილს კითხულობდა მის სახის გამომეტყველებაში, მის ჯადოსნურ რჩევაში. უცებ სახის ამოცანამ ამცნო არე-მარეს, რომ დედოფალს მოესურვა სახეიმოდ მორთვა.


ასულთა გუნდი ერთ—მეორეზე ალაგებენ ქვებით მოქუ-ქურთმებულ ოქროს სკივრიდან ძეირფას მოსართავს და ქარ-გავენ დედოფლის ირგვლივ. სიოსებური, ცელქურად კისკი-სიმბენ, ალერსობენ, რომ მოპინონ დედოფალს შეება-ლხენა. ბოლოს ერთი გამოცდილი ასული დედოფლის მორთვაში მიუახლოვდა მას და დაუწყო ხელოვნებით გამშეენიერება.

თეთრი, ვით ფიფქი, პირსაბურისებური სამოსის მაგივრად, საიდანაც მოციმუმებდა მარმარილოს ქინდაკება,— თეთრი სხე-ული დედოფლის, შეამჭეს ცისფერი სამოსით.

მოუტანეს მოკედილი ქოში, ძეირფას ქვებით მოკირ-წყლული ნარნარ ფეხის გასაყოფათ.

წელზე შემოარტყეს ინდოეთის ნიხელოვნები სარტყელი, ფოჩები შემჯული იყო სირქნას თვალის მსგავსი ქვებით; წი-თელი ბადაბაშით, წითელი, ლურჯი, ყვითელი და თეთრი იაგუნდებით. ამ ქვების ირგვლივ მინანქრით ამოკვეთილი იყო სურათოვანი ყვავილები, ხვლიკები და სხვა და სხვა არსნი. სარ-ტყელს წინ ამშეენებდა ხოეორი მარგალიტი, რომლის გარშე-მო აციაგებული იყო მრავალი ფეროვანი ქვები.

ხელებში გაუყარეს იალდუხის ოქროს სამაჯურები: ჩარ-ცხენა ხელის სამაჯურზე გამოქანდაკებული იყო ზურმუხტით,



ბრილიანტით იაგუნდებით აღმასით, მარგალიტით, სიმშევნიერით აღსავსე ქალი, რომლის წინაშე ყველა არსი პირმეტუველი და პირუტყვნი ნეტარებით ქედ მოხრილი იყვნენ, ნიშად სიმშევნიერის მეუფებისა ქვეყანასა ზედა. მარჯვენა ხელის სამაჯურზე იშვიათი ქეებით ამოკეოლი იყო აღმნისის შეგავსი მშვენიერი ვაჟი, პეროსის მიერ დისტული, რომელიც ეძიებს სულიერ განკურნებას სიმშევნიერებისადმი თაყვანის ცემაში, ნიშად პეროსის აუკილებლობისა სილამაზის თაყვან საცემლად. სათაყვანოთ კისერზე ჩამოკიდეს გულქანდი, რის შეგავსი არ ენახა ჯერ კიდევა პარიზის ბაღს. ეს იყო გულქანდი აღმოსავლეთის ნახელოვნები, მისი შეიც ფეროვანი ძეირფასი ქვები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მომხიბელელ სხივთა ციმკიმში. უურების ბილბილში ჩაჭკიდეს სხვა და სხვა ქვებიდან ჩამოსხმული ფარშავანგი—საყურეები. კაპრი და ფლორიამ რა დაინახა დედოფალი ავრე რიგად სახეომოდ გამზადებული მოფრინდა და დაადგა თავზე მისი ბაღის ყვავილებისაგან მოქსოვილი ვვირგვინი. ყვავილთ თასები ჯერ კიდევ აღსავსე იყო ვაალმასებულ ციურ-ნამით ტუბრაძან მდელოს: იქეც ყვავილთ ბაღჩად. თვალის ვახამხამებაში ირგვლივ გამოეფინა მრავალ ფეროვანი ყვავილთ ზღვა.

ყვავილები ეშით დამთვრალნი იშმუშნებოდენ, იქეც ბოდენ და პაეროვანი კოცნით კლავდენ დედოფლისადმი სიყვარულს. უდარდელი თავ-განწირულებით ელოდენ ისინი მოქლი თავისი სიცოცხლით აღსავსე ნაზი არსების დედოფლის ფეხების ცხელ-მწვევლ ამბორს და.... სულის განტეცებას. ასეთი ძლიერი იყო სილამაზე-სიმშევნიერის განკვრეტა.

დადიოდა ზეინარი და ის ირგვლივ ისროდა თვალის მომკრელ მრავალ ფეროვან სხივთა კონას.

მაგრამ დედოფალს მაინც რაღაცა აკლდა.... და ის ასე იმისათვის ხელოვნებდა, რომ გამოეწვიო თავისი ადონისიერთ შშვენიერი საყვარელი ვაჟი. და ის იყო ასწია ხელი ცელქურად გაშლილი დიდ წითელ ვარდის მოსაწყვეტათ, რომ მის თასებში ჩაექსოვა სიყვარულის იდუმალება, როდესეც მიაჩი-



და სიმაჯურს, მშეენიერი ვაჟი რომ იყო ასურითებული, მშეენიერი რა.... ზე აპყრობილი ხელი ჰაერში გაქანდაკდა. მშეენიერმა ვაჟმა დაიწყო ხევა, გრძნობის სხივთა ფრქვევა, რაც იწვევდა დედოფალში ზღვა ნეტარების. და აღემართა მის წინაშე სიმშეენიერით ალსავსე.... ელვასაებრ სისწრაფით გადაეჭდნ ერთმეორს და მათი ზღვა სივვარული ნეტარებათ იქაფდა.... მაგრამ ცეცხლის ღმერთს შეშურდა დედოფლის და მშეენიერი ვაჟის ნეტარება და ვაჟს, რომელიც სულიერი ნირვანაში ლალად დაცურავდა დედოფალთან, წაუვიდა ულმობელი ვაჟი. ხალას ოქროს ფერ ალით შეიმოსა და იწოდა, იწოდა უდარდელად, რადგან ფიქრობდა, რომ ის მსხვერპლი იყო სიყვარულის აღის....

საამბოროდ გასროლილი ხელები ჰაერში იყვნენ ჩამოკიდებულნი. დედოფალი უსებ მოწყდა ნეტარების ნირვანას და რა დაინახა საყვარელი ვაჟი, მშეელი ალით შემოსილი, შეპკივლა შემაძრწუნებელი ხმით: ღმერთო, შეების ღმერთო, რა შეგცოდე, რომ დამწვი და..... და გამოეღვიძა...

დარაპებით შემოხეთქილი იყო მზის ზეირთების მრავალი ფეროვანი ენები და ქურდულად კოცნიდენ დედოფლის მშეენიერ სახეს.

სია იმ პატივცემულ მოქალაქეთა, რომელთაც უურნალის  
გამოცემა ნივთიერად უზრუნველყვეს.

გ. ლომიაშვილი. ვ. ჭავჭავაძე  
 გ. გურიაშვილი გ. გ. გურიაშვილი  
 გ. გურიაშვილი გ. გ. გურიაშვილი  
 ა. ა. გურიაშვილი ა. ა. გურიაშვილი  
 ა. ა. გურიაშვილი ა. ა. გურიაშვილი  
 გ. გურიაშვილი გ. გ. გურიაშვილი  
 გ. გ. გურიაშვილი გ. გ. გურიაშვილი

- ნ. ბანცაძე.
- ი. კავჭანიძე.
- ი. ბილანიშვილი.
- პ. მიქაელიძე.

